შპს „მთის კურორტების განვითარების კომპანია“

ვიდეოთვალთვალის კამერების გამარტივებული
ელექტრონული ტენდერის საშუალებით შესყიდვის

სატენდერო დოკუმენტაცია

CPV-35125300

ქ. თბილისი
2016

სარჩევი

1. ინსტრუქცია ტენდერში მონაწილეთათვის.....3

2. ტექნიკური დავალება……..4

3. დამატებითი ინფორმაცია.....5

4. ფასების ცხრილი (დანართი №1)……6

5. რეკვიზიტები (დანართი №2).....7

6. აფიდავიტის საილუსტრაციო ფორმა (დანართი №3).....8

7. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პროექტი ……9

1. ინსტრუქცია ტენდერში მონაწილეთათვის

1.1 სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (შემდგომში – სისტემა) შესყიდვის პროცედურები ხორციელდება საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ და „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანების შესაბამისად.

1.2 ელექტრონულ ტენდერთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია წარმოდგენილ უნდა იქნეს ორიგინალის სახით (ასლის შემთხვევაში ნოტარიულად დამოწმებული ასლი) ქართულ ენაზე. დოკუმენტების ან/და ინფორმაციის უცხოურ ენაზე წარდგენის შემთხვევაში მათ უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი.

1.3 დავის შემთხვევაში უცხოენოვან დოკუმენტსა და მის ქართულ ენაზე შესრულებულ თარგმანს შორის, პრიორიტეტის მინიჭების საკითხს წყვეტს სატენდერო კომისია.

1.4 სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (შემდგომში – სისტემა) ატვირთული ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია ხელმოწერილი ან/და ბეჭედდასმული (ბეჭდის არსებობის შემთხვევაში) უნდა იყოს უფლებამოსილი პირის მიერ (საჭიროების შემთხვევაში ატვირთულ უნდა იქნას მინდობილობა ან რწმუნებულობა).

1.5 სატენდერო პროცედურების განხორციელების ეტაპზე სუბკონტრაქტორ(ებ)ის არსებობის შემთხვევაში სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში ატვირთული უნდა იქნას პრეტენდენტსა და სუბკონტრაქტორ(ებ)ს შორის გაფორმებული ხელშეკრულებ(ები)ა.

1.6 სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების ფორმა და პირობები მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციაში, რომელიც ხელშეკრულების დადების მომენტისათვის დაზუსტდება სატენდერო წინადადების შესაბამისად.

1.7 პრედენდენტს არა აქვს უფლება წარმოადგინოს ალტერნატიული წინადადება.

2. ტექნიკური დავალება

2.1 სატენდერო წინადადების ფასი:

2.1.1 სატენდერო წინადადებაში საერთო და ერთეულის ფასი გამოსახული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული და შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა გადასახადის გათვალისწინებით გარდა დ.ღ.გ.-სა.

2.1.2 სატენდერო წინადადების ფასი სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში მითითებული უნდა იქნას დ.ღ.გ.-ს გარეშე (იმის მიუხედავად არის თუ არა პრეტენდენტი დ.ღ.გ.-ს გადამხდელად რეგისტრირებული). იმ შემთხვევაში თუ გამარჯვებული პრეტენდენტი იქნება დ.ღ.გ.-ს გადამხდელი, სატენდერო წინადადების ფასს დაემატება აღნიშნული გადასახადი და ხელშეკრულება გაფორმდება სრულ თანხაზე.

2.1.3 სატენდერო წინადადების საერთო და ერთეულის ფასის წარმოდგენა დასაშვებია მხოლოდ ლარებში.

2.2 ანგარიშსწორების პირობები:

2.2.1 ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარში.

2.2.2 ანგარიშსწორება მოხდება მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმებიდან, სასაქონლო ზედნადებისა და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის (არსებობის შემთხვევაში) წარმოდგენიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღის ვადაში.

2.2.3 წინასწარი ანგარიშსწორება არ გამოიყენება.

2.3 შესყიდვის ობიექტის ტექნიკური პირობები:

#	საქონლის დასახელება და ტექნიკური მახასიათებლები	განზ. ერთეული	რაოდენობა	CPV
1	**ვიდეოთვალთვალის კამერა არსებულ კურორტებზე გამართული UniFi Video პროგრამასთან თავსებადი** ვიდეო კომპრესია: H.264 გაფართოება: 1080p Full HD (1920x1080) კადრის ცვლილების სიხშირე: 30 FPS გამოსახულების ფუნქციონალი: სიკაშკაშე, კონტრასტი, სიმკვეთრე, სატურაცია, ხმაურის შემცირება, 50/60 Hz პროცესორი: 816 MHz ARM Cortex-A9 ოპერატიული მეხსიერება: 512 MB DDR3L ხედვის კუთხე: ლინზების კორექციამდე: 85° (H), 44.8° (V), 98.1° (D) ლინზების კორექციის შემდეგ: 72° (H), 42.9° (V), 80.4° (D) სენსორი: 1/3" 4-Megapixel HDR Sensor ლინზები: EFL 3.6 mm, F1.8 ღამის ხედვა: IR LEDs with Mechanical IR Cut Filter მიკროფონით ქსელის ინტერფეისი: (1) 10/100 ეზერნეტ პორტი კვების მეთოდი: 24V Passive PoE კვების ბლოკი: 24V, 0.5A PoE ადაფტერი მაქსიმალური ენერგიის მოხმარება: 4W სამუშაო ტემპერატურა: -30° .. 50° C გარანტია არანაკლებ 1 წელი	ცალი	19	35125300
2	**ვიდეოთვალთვალის კამერა არსებულ კურორტებზე გამართული UniFi Video პროგრამასთან თავსებადი** ვიდეო კომპრესია: H.264 რეზოლუცია: 1080p Full HD ლინზა: 3x Optical Zoom, F= 3-9 mm კადრის ცვლილების სიხშირე: 30 FPS გამოსახულების რეგულირება:სიკაშკაშე, კონტრასტი, სიხშირე, ფერების გაჯერება, ხმის ჩამხშობი, 50/60 Hz ღამის ხედვა: (IR LED with Mechanical IR Cut Filter)	ცალი	6	35125300

	პროცესორი: ARM 1136J-S 528 MHz მეხსიერება: 256 MB DDR3, 256 MB ფლეშ მეხსიერება ხედვის კუთხე: 44.4° W - 15.7° T (V) 81.0° W - 27.9° T (H) 94.0° W - 32.1° T (D) პორტები: (1) 10/100 Ethernet სენსორი: 1/3" WDR Sensor კვების მეთოდი: პასიური PoE (48V, 0.5A), 802.3af კვების ბლოკი: 48V, 0.5A PoE ადაფტერით დაცვის სტანდარტი IP67, წყლის და სინესტის გამძლეობა სამუშაო ტემპერატურა: -40°C .. 50°C გარანტია არანაკლებ 1 წელი			

*** ცხრილში მითითებული მონაცემები წარმოადგენს შემსყიდველის მინიმალურ მოთხოვნებს. შესაძლებელია უკეთესი პარამეტრების მქონე პროდუქციის მოწოდება ფასის გაზრდის გარეშე.**

მიწოდების პირობები და ვადები:

2.3.1 მიწოდების ვადა: ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან არაუმეტეს 10 (ათი) სამუშაო დღე.

2.3.2 მიწოდების ადგილი: ქალაქი თბილისი, შემსყიდველის მიერ მითითებულ მისამართი.

2.3.3 მოსაწოდებელი საქონელი უნდა იყოს მაღალი ხარისხის, ქარხნული წარმოებისა და ახალი.

2.3.4 საქონლის გადმოცემის დროს აღმოჩენილი წუნის შემთხვევაში მიმწოდებელი ვალდებულია შეცვალოს აღნიშნული საქონელი.

შენიშვნა: იმ შემთხვევაში თუ ტენდერში ელექტრონული ვაჭრობის შედეგად ყველაზე დაბალი ფასის მქონე პრეტენდენტის მიერ სისტემაში დაფიქსირებული საბოლოო ფასი 20%-ით ან მეტით დაბალია შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებაზე, მიმწოდებელი ვალდებულია დაასაბუთოს ფასწარმოქმნის ადეკვატურობა ან/და ამ ფასად ტენდერით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების შესაძლებლობა. ფასწარმოქმნის ადეკვატურობა, შესაძლებელია დასაბუთდეს ექსპერტიზის დასკვნით, შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებით პრეტენდენტის მიერ გაფორმებული ხელშეკრულებით, ანგარიშფაქტურით (ინვოისით), რომელიც ადასტურებს პრეტენდენტის მიერ დაფიქსირებულ ფასად ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შესაძლებლობას.

2.5 პრეტენდენტის მიერ ერთიან ელექტრონულ სისტემაში ასატვირთი მონაცემები:

ა) ფასების ცხრილი დანართი №1–ის მიხედვით.

ბ) რეკვიზიტები დანართი №2–ის მიხედვით.

3. დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგი საკონტაქტო პირისაგან:

კონსტანტინე მეტონიძე ტელ: +995 555 139 109; +995 591 80 50 65

დანართი N1

ფასების ცხრილი

პრეტენდენტის დასახელება_____

№	საქონლის დასახელება (მოდელი) და ტექნიკური მახასიათებლები	განზ. ერთეული	რაოდენობა	ერთ. ღირებულება	სულ	მწარმოებელი ქვეყანა და კომპანია
1		ცალი	19			
2		ცალი	6			

ხელმოწერა _____

ბ.ა.

1. რეკვიზიტები:

პრეტენდენტის იურიდიული ფორმა და დასახელება:

*ხელმძღვანელის სახელი და გვარი:

პრეტენდენტის იურიდიული ან/და ფაქტიური მისამართი:

პრეტენდენტის ტელეფონის ნომერი:

ელექტრონული მისამართი:

ბანკის დასახელება და კოდი:

ანგარიშსწორების ანგარიში:

საიდენტიფიკაციო კოდი:

ხელმოწერა _____

ბ.ა.

**თუ პრეტენდენტი ფიზიკური პირია უნდა მიეთითოს პირადობის მოწმობის ან პასპორტის მიხედვით პირადი ნომერი.*

აფიდავიტი

სატენდერო წინადადების დამოუკიდებლად განსაზღვრის თაობაზე

გამოცხადებულ ტენდერში მონაწილეობის მიღების მიზნით, ვადასტურებ, რომ ჩემს მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადება შემუშავებულია კონკურენტისგან დამოუკიდებლად. ასევე ვადასტურებ, რომ:

* ჩემთვის ცნობილია, რომ სატენდერო წინადადება დისკვალიფიცირებულ იქნება, თუ აღმოჩნდა, რომ აფიდავიტში მოცემული ინფორმაცია არის ყალბი ან/და ცრუ;

* უფლებამოსილი ვარ პრეტენენტის მიერ, ხელი მოვაწერო ამ აფიდავიტს და წარვადგინო ეს სატენდერო წინადადება;

* ნებისმიერ პირი, რომლის ხელმოწერაც დაფიქსირებულია სატენდერო წინადადებაზე, შესაბამისად უფლებამოსილია პრეტენდენტის მიერ;

* ჩემთვის ცნობილია რომ ტერმინი "კონკურენტი" აფიდავიტის მიზნებიდან გამომდინარე, გულისხმობს ნებისმიერ პირს, რომელიც შესაძლებელია იყოს პრეტენდენტი ან/და წარადგინოს სატენდერო წინადადება ამ ტენდერში;

* მატერიალური გამორჩენის ან უპირატესობის მიღების მიზნით პრეტენდენტსა და კონკურენტს შორის არ წარმოებულა კონსულტაცია, კომუნიკაცია, შეთანხმება ან მოლაპარაკება შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:

- სატენდერო წინადადების ფასი;
- სატენდერო წინადადების ფასის გამოთვლის მეთოდი, კოეფიციენტი ან ფორმულა;
- სატენდერო წინადადების წარდგენა ან წარდგენისგან თავის შეკავება;
- ისეთი სატენდერო წინადადების განზრახ წარდგენა, რომელიც არ აკმაყოფილებს გამოცხადებული ტენდერის პირობებს;
- შესყიდვის ობიექტის ხარისხი, მოცულობა, ტექნიკური პირობები ან მიწოდების დეტალები, რომელთაც ეხება სატენდერო წინადადება;

* სატენდერო წინადადების პირობები პრეტენდენტს წინასწარი განზრახვით, პირდაპირ ან არაპირდაპირ, არ გაუმჟღავნებია ან/და არ გაუმჟღავნებს კონკურენტს სატენდერო წინადადების განსაჯაროების მომენტამდე.

გავეცანი ამ აფიდავიტის შინაარსს და ვადასტურებ წარმოდგენილი ინფორმაციის უტყუარობას.

სახელმწიფო შესყიდვების მიზნებისთვის, აფიდავიტი წარმოადგენს სატენდერო წინადადების დამოუკიდებლად განსაზღვრის თაობაზე წერილობით დოკუმენტს, რომლის ხელმომწერი, პრეტენდენტის სახელით, ადასტურებს დოკუმენტში მითითებული ინფორმაციისა და გარემოებების უტყუარობას და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით პასუხს აგებს აღნიშნული ინფორმაციისა და გარემოებების უტყუარობაზე. აფიდავიტით განსაზღვრული პირობების დარღვევა იწვევს სისხლის-სამართლებრივ პასუხისმგებლობას საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 195^1 მუხლის შესაბამისად.

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პროექტს, რომელიც დაიდება გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების შედეგად გამარჯვებულ პრეტენდენტთან. წინამდებარე ხელშეკრულების პროექტის პირობები დაზუსტდება გამარჯვებული პრეტენდენტის სატენდერო წინადადების შესაბამისად, რომელიც ამავდროულად თანდართული ექნება ხელშეკრულებას, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი

ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ N

(გამარტივებული ელექტრონული ტენდერი # **SPA**----------)

წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო 2016 წლის ---------- ქ. თბილისი.

ერთი მხრივ, **შ.პ.ს. „მთის კურორტების განვითარების კომპანია"**, შემდგომში **„შემსყიდველი"**, წარმოდგენილი **დირექტორის მოადგილის ირაკლი ჭირაქაძის** სახით და მეორე მხრივ, ----------, შემდგომში **„მიმწოდებელი"**, წარმოდგენილი ---------- სახით ვდებთ ხელშეკრულებას მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში _ „ხელშეკრულება") _ შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება" _ საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3. „დღე", „კვირა", „თვე" _ კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. „შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. „მიმწოდებელი" – პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურებას ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6. „საქონელი"–ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

1.7 „ტექნიკური დავალება" – სატენდერო დოკუმენტაციის ტექნიკური დავალება, რომელიც დაერთვება ხელშეკრულებას, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

2. **ხელშეკრულების საგანი**

2.1 სხვადასხვა სახის ვიდეოთვალთვალის კამერების შესყიდვა დანართის (ფასების ცხრილი) და ტექნიკური დავალების შესაბამისად.

2.1.1 **CPV-35125300**

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების ღირებულებაა: --------- **ლარი.**

3.1.1 ერთეულის ღირებულება განსაზღვრულია დანართით (ფასების ცხრილი).

3.2 ხელშეკრულების ღირებულება შეიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯებსა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ გადასახადებს, დაკავშირებულს საქონლის მიწოდებასთან და შემსყიდველის საკუთრებაში გადაცემასთან.

4. მხარეთა უფლება–მოვალეობები

4.1 მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) შემსყიდველს მიაწოდოს სხვადასხვა სახის ვიდეოთვალთვალის კამერები დანართის (ფასების ცხრილი) და ტექნიკური დავალების შესაბამისად.

ბ) საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს საქონლის მიწოდება ქ. თბილისში, შემსყიდველის მიერ მითითებულ მისამართზე ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან არაუმეტეს 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.

4.2 მიმწოდებელი უფლებამოსილია:

ა) შემსყიდველს მოსთხოვოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება.

4.3 შემსყიდველი ვალდებულია:

ა) განახორციელოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვით მიწოდებული საქონელის ღირებულების ანაზღაურება.

4.4 შემსყიდველი უფლებამოსილია:

ა) მიმწოდებლისგან მოითხოვოს საქონელის მიწოდება წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ დროსა და ადგილას;

ბ) შეამოწმოს საქონლის ხარისხი და თუ აღმოჩნდება უხარისხო (წუნდებული) საქონელი მიმწოდებელი ვალდებულია შეცვალოს აღნიშნული საქონელი.

გ) მონიტორინგის შედეგად მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში მისცეს მას მითითება ვალდებულებების დარღვევის გამოსწორების შესახებ ან შეწყვიტოს (არ განახორციელოს) მიმწოდებლის დაფინანსება.

5. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

5.1 საქონლის მიწოდების ანაზღაურება განხორციელდება წინამდებარე ხელშეკრულების 6.3 პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტაციის წარმოდგენიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში.

5.2 ანგარიშსწორების ვალუტა: ლარი;

5.3 ანგარიშსწორების ფორმა: უნაღდო.

6. მიღება-ჩაბარების წესი

6.1 წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის გადაცემის დადასტურების მიზნით, შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი.

6.2 შემსყიდველის მხრიდან მიღება–ჩაბარების აქტზე ხელმოწერის უფლებამოსილება ენიჭება საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურის უფროსს გურამ ადამიას.

6.3 საქონლის მიწოდების დადასტურების მიზნით შემსყიდველისა და მიმწოდებლის მიერ ხელმოწერილ მიღება-ჩაბარების აქტთან ერთად სავალდებულოა საგადასახადო ანგარიშფაქტურისა და სასაქონლო ზედნადების წარმოდგენა.

7. საქონლის მიწოდების ადგილი და ვადა

7.1 საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს ქალაქ თბილისში, შემსყიდველის მიერ მითითებულ მისამართზე, ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან არაუმეტეს 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.

7.2 საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს სატენდერო დოკუმენტაციით გათვალისიწინებული პირობების შესაბამისად.

8. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება

8.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირებას განახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურის უფროსი გურამ ადამია.

8.2 ინსპექტირება გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების, აგრეთვე მიწოდებული საქონლის ხარისხის კონტროლს.
8.3 ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

9.1 მხარეებმა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები უნდა შეასრულონ ჯეროვნად, კეთილსინდისიერად ხელშეკრულებით დათქმულ დროსა და ადგილას. მხარეები პასუხს აგებენ ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შეუსრულებლობის ან არსებითად დარღვევისათვის ხელშეკრულებით და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;
9.2 ფორს-მაჟორული პირობების გარდა, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის, არაჯეროვანი შესრულების ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება სანქციები, რომელთა ფორმა, ოდენობა, ამოქმედების პირობები განსაზღვრულია წინამდებარე ხელშეკრულებით.
9.3 მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 2%-ის ოდენობით.
9.4 არაჯეროვნად შესრულებას წარმოადგენს უხარისხო საქონლის მიწოდება. ამასთან, არაჯეროვნად გაწეულად მიიჩნევა ნებისმიერი ვალდებულების შეუსრულებლობა, რომელიც ნაკისრი აქვს მიმწოდებელს წინამდებარე ხელშეკრულებით, გარდა 9.5 პუნქტით განსაზღვრული შემთხვევისა.
9.5 მიმწოდებლის მიერ დაგვიანებით შესრულებას წარმოადგენს საქონლის მიწოდების წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიწოდების ვადის დარღვევა, რისთვისაც შემსყიდველი უფლებამოსილია დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე დროულად მიუწოდებელი საქონლის ღირებულების 0,02%-ის ოდენობით.

10. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.
10.2 ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
10.3 ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

11. დაუძლეველი ძალა

11.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.
11.2 თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან;

11.3 მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

12.1ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1 ხელშეკრულება ძალაში შედის ----------.

14. მხარეთა ხელმოწერები

შემყიდველი: **მიმწოდებელი:**

---------- ----------